

მე-8 კლასი ძირითადი დავალებები (100 ქულა)

ალგებრა

- (8 ქულა)** ავტომობილი 10კმ-ის გავლაზე 15 წთ-ს ხარჯავდა, ახლა ის 3წთ-ში გადის 5კმ-ს. რამდენჯერ გაზრდილა მისი სიჩქარე?
A. 3-ჯერ B. 1,5-ჯერ C. 2,5-ჯერ
- (8 ქულა)** რამდენი ამონახსნი აქვს განტოლებას: $|7 - |3 - 2x|| = 4$?
A. 4 B. 3 C. 2
- (8 ქულა)** 237^2 რამდენით მეტია 236^2 -ზე?
A. 235-ით B. 350-ით C. 473-ით

გეომეტრია

- (8 ქულა)** ტოლფერდა სამკუთხედის რომელიღაც ორი გვერდის ჯამი 12-ის ტოლია, სხვა ორი გვერდის ჯამი 18-ის. რას უდრის ამ სამკუთხედის პერიმეტრი?
A. 27 B. 21 C. 20
- (10 ქულა)** მართკუთხა სამკუთხედში ჰიპოტენუზისადმი გავლებული მედიანა ერთ-ერთი კათეტის ტოლია. რას უდრის ამ მართკუთხა სამკუთხედის დიდი მახვილი კუთხის შეფარდება მცირე მახვილ კუთხესთან?
A. 4 B. 2 C. 1,5
- (10 ქულა)** ტოლფერდა სამკუთხედში ფერღზე დაშვებული სიმაღლე ამ ფერდის ნახევარია. იპოვეთ კუთხე ამ სიმაღლესა და ფუძეს შორის.
A. 15° B. 45° C. 30°

ლოგიკა

- (11 ქულა)** სკოლაში მეხუთე და მეექვსე კლასელ გოგონათა საერთო რაოდენობა ამ სკოლის მეექვსე კლასელ მოსწავლეთა რაოდენობის ტოლია. რომელი მეტია, მეექვსე კლასელ ვაჟთა რაოდენობა, თუ მეხუთე კლასელ გოგონათა რაოდენობა?
A. ვერ დავადგენთ B. გოგონათა რაოდენობა C. თანაბარია
- (12 ქულა)** მწკრივში ამოწერილია 34 ნატურალური რიცხვი. ჩამოთვლილებიდან რა შეიძლება იყოს ყველა მათგანის ჯამი, თუ მწკრივში მდგომი ნებისმიერი ათი მომდევნო რიცხვის ჯამი 70-ის ტოლია?
A. 251 B. 207 C. 289

რიცხვთა თეორია

- (12 ქულა)** თუ რიცხვს მივუმატებთ მის მარტივ გამყოფს, მაშინ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ პასუხს ვერ მივიღებთ?
A. 48 B. 59 C. 75
- (13 ქულა)** რიცხვ 579572-ში სულ მცირე რამდენი ციფრი უნდა წავშალოთ, რომ დარჩენილი რიცხვი გაიყოს 9-ზე?
A. 1 B. 2 C. 3

ბონუს დავალებები (20 ქულა)

ბონუს ქულა ჯამურ შედეგს დაემატება იმ შემთხვევაში, თუ მონაწილე ტესტის ძირითად ნაწილში დაკარგავს ქულას.

- კითხვა ფინანსური განათლებიდან: (5 ქულა)** ბანკში გაცვლითი კურსია 1 დოლარი = 2,97ლარი, ხოლო სავალუტო ჯიხურში 1 დოლარი = 2,95 ლარი. თუკლამ ბანკში 1200 დოლარით შესაბამისი ოდენობის ლარი შეიძინა. რამდენ ლარს იზარალებდა თუკლა, თუ ის ბანკის ნაცვლად სავალუტო ჯიხურს მიაშურებდა?
A. 24 ლარს B. 12 ლარს C. 30 ლარს
- „თიბისის“ კითხვა: (5 ქულა)** ირინას თიბისი ბანკის ანგარიშზე ერიცხება ხელფასი, ყოველთვიურად 500 ლარი. რამდენი ლარი დაუგროვდება მას ამ ანგარიშზე 2 თვის შემდეგ, თუ მან ამ თანხიდან მხოლოდ 200 ლარი დახარჯა?
A. 800 B. 1000 C. 1200
- Cavea-ს კითხვა: (5 ქულა)** კავეას თბილისი მოლის ფილიალში 5 დარბაზია. ჯამში რამდენი ადგილია ამ ფილიალში, თუ საშუალოდ, თითო დარბაზში 156 ადგილია?
A. 730 B. 780 C. 700
- „მაგთის“ კითხვა: (5 ქულა)** თორნიკეს მშობლებმა შეიძინეს მაგთის ტელევიზიისა და ინტერნეტის პაკეტი და საჩუქრად მიიღეს უფასო ზარები მაგთის ნომრებზე ოჯახის წევრებს შორის. სულ რამდენ ზარს განახორციელებენ ოჯახის წევრები, თუ სულ სამნი არიან და თითოეული მათგანი ყველა დანარჩენს თითოჯერ დაურეკავს?
A. 6 B. 3 C. 9

*გაეცი მაგთის ბონუს კითხვას სწორი პასუხი, გახდი მაგთის აკადემიური კლუბის წევრი და მიიღე უფასო სიმ ბარათი, სიგელი, ყოველთვიური 100მბ, 100 SMS და 30 წუთი საჩუქრად.

*გაეცი თიბისის ბონუს კითხვას სწორი პასუხი და აიღე მოსწავლის #1 ბარათი, კინგის დიზაინით, უფასოდ, თიბისი ბანკის ნებისმიერ ფილიალში.

